

მეცხემსი

ო ზ ი ც ი ა ლ უ რ ი ზ ა ნ ყ ო ზ ი ლ ე ბ ა

უძალესი ბრძანებანი.

მართლ-მადიდებელის სარწმუნოების უწყების საეკლესიო სკოლათა დებულების დამტკიცების შესახებ.

სახელმწიფო საბჭომ, შვერთებულ მრევლეთა, მეცნიერებათა და ვაჭრობისა კანონთა, სამოქალაქო და სასულიერო საქმეთა და სახელმწიფო ეკონომიის დეპარტამენტებში და საზოგადო კრებაზედაც განიხილა რა უწყილდების სინოდის ობერპროკურორის მიერ წარმოდგენილი პროექტი მართლმადიდებელის სარწმუნოების უწყების საეკლესიო სკოლათა დებულების შესახებ, დაადგინა:

I. პროექტები: 1) მართლმადიდებელის სარწმუნოების უწყების საეკლესიო სკოლათა და 2) და მეორეკლასიან და საეკლესიო-საოსტატო სკოლათა შესახებ წარედგინოს მისს ამჟერატორებით უდაღბუჯესობას დასამტკიცებლად.

II. გამოსაცვლელად და დასამტკიცებლად სათანადო კანონდებულებათა:

1) მეორეკლასიანი საეკლესიო-სამრევლო და საოსტატო სკოლების სახმედრო ბეგარის შეღავათის გადახდის შესახებ, ეკუთვნიან მეორე ხარისხის სასწავლებელთა ერთკლასიანი საეკლესიო-სამრევლო სკოლები კი მესამე ხარისხისას.

2) იმ მოწაფეთ, რომელთაც რამე მიზეზის გამო სწავლა არ დაუშთავრებით მეორეკლასიან საეკლესიო სამრევლო სკოლებში სახმედრო ბეგარის გადახდაში ძლევით იგივე უფლებანი, რაც

დასაკუთრებული აქეთ მესამე ხარისხის სასწავლებლებში სწავლა დამთავრებულთ; საეკლესიო-საოსტატო სკოლებისას კი ის უფლებანი, რაიც მათ ზემოხსენებულ სასწავლებელში შესვლამდის ჰქონდათ (მუხ. 36 და 48 მართლმადიდებელის სარწმუნოების უწყების საეკლესიო სკოლების დებულებისა).

3) კენჭის ამოღების შემდეგ სწავლის დასასრულბლად ჯარში შესვლის ვადა: საეკლესიო-საოსტატო სკოლების მოწაფეთ თუ ისურვებენ გადაედებათ იმ დრომდის, მინამ 22 წლისა შესრულდებოდენ.

4) მოწმობანი პირველ დაწყებითი სასწავლებლებში სწავლის დამთავრების შესახებ ერთკლასიან სამრევლო სკოლების, წერა-კითხვის და საკვირაო სკოლების მოწაფეთ მიეცემათ სავარქო საშოსწავლო საბჭოთა სამაზრო განყოფილებისაგან იმ წესით, რომელიც დამტკიცებულია მართლმადიდებელის სარწმუნოების უწყებისაგან.

5) საეკლესიო სკოლებს უფლება აქეთ გავზანონ უფასოდ მათ საქმეთა შესახებ წიგნები ან სხვა რამე საგნები წონით არა უმეტეს ერთის ფუთისა უფასოდ.

6) პირობანი და წესი საერო განათლების სამინისტროს უწყების პირველ დაწყებითი საერო სასწავლებლებისა და საეკლესიო-სამრევლო სკოლების გახსნის შესახებ იმ ადგილებში, სადაც უკვე არს უწყების ამა თუ იმ სკოლები, დადგენილ იქნება უწყიდდისის სინოდის ობერპროკურორის და საერო განათლების მინისტრის მიერ ერთმანერთან შეთანხმებით.

7) ცემისაგან განთავისუფლებულ არიან: ა) მასწავლებლები და მზრუნველნი მართლმადიდებლის სარწმუნოების უწყების საეკლესიო სკოლებისა, ბ) მოწაფენი ზემოხსენებულის უწყების საოსტატო სკოლებისა, როგორც ზემოხსენებულ სკოლებში სწავლის დროს, აგრეთვე გათავების შემდეგ.

ზემოხსენებული დადგენილება სახელმწიფო საბჭოსი და მათში მოხსენებული დებულებანი და შტატები ამა 1902 წლისა 1 აპრილს ხელშეწივე იმპერატორმა უმადლესად დაამტკიცა და ბრძანა რათა სისრულეში მოყვანილ იქმნას.

ნამდვილზედ საკუთარის მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის ხელით დაწერილია:

„იჟიკის ესრედ“.

ს. პეტერბურგში.
1902 წ. 1 აპრილს.

დებულებანი მართლმადიდებელ სარწმუნოების უწყების საეკლესიო სკოლების შესახებ.

1. საზოგადო დადგენილება.

1. მართლმადიდებლის სარწმუნოების უწყების საეკლესიო სკოლებს მიზნად აქვთ გაავრცელონ ხალხში სარწმუნოება-ზნეობრივი სწავლა-განათლება.

2. საეკლესიო სკოლები განიყოფებიან ორ ჯგუფად: 1) პირველ დაწყებითი, რომელსაც მიზნად აქვს პირველ დაწყებითი სწავლა მისცენ როგორც ბავშვებს აგრეთვე მოზრდილებს და ზე საოსტატონი — პირველ დაწყებითი სკოლების მასწავლებელთა მომზადება. პირველ ჯგუფს ეკუთვნიან: საეკლესიო სამრევლო, წერა-კითხვის და საკვირაო სკოლები, მეორეს კი: მეორე კლასიანი და საოსტატო საეკლესიო სკოლები.

3. საეკლესიო სკოლები ინახებიან სრულიად ან ნაწილად 1) ერობათა, ქალაქთა, საზოგადოებათა, წოდებათა, ეკლესიათა, სამრევლოთა, მონასტერთა სამრევლო სამზრუნველოთა და ძმობათა, საქველ-მოქმედო დაწესებულებათა და კერძო პირთა შეწირულების საშუალებით 2) უწყმიდესის სინოდის თანხით 3) სახელმწიფო ხაზინისგან მოკემული ფულით და 4) იმ თანხით, რომელსაც იძლევიან იმ ადგილებში, სადაც ჯერეთ ერობა არ არის შემოღებული, საგუბერნიო საკომლო გადასახადი-

დგან. საკვირაო სკოლები ინახებიან იმ შეწირულებით, რომელიც ნაჩვენებია ამ მუხლის პირველს პარაგრაფში.

4. საეკლესიო სკოლები შეიძლება იყვნენ როგორც საჯარო, აგრეთვე საქალბო. პირველდაწყებითს სკოლებში ერთად შეუძლიან ისწავლონ ორივე სქესის წარმომადგენლებმა. იმ საკვირაო სკოლებში, რომლებშიც ერთად ორივე სქესის წარმომადგენლები სწავლობენ, მიღებულ უნდა იქნან ბავშვები არა უფროს 12 წლისა.

5. საეკლესიო სკოლებში მიიღებიან ყველა პირნი მართლმადიდებლის სარწმუნოებისა, წოდების და შეძლების განურჩევლად, წერა-კითხვის და საეკლესიო სამრევლო სკოლებში საეპარქიო მღვდელმთავრის ნებართვით მიღებულ იქმნებიან აგრეთვე შვილები სხვა სარწმუნოების წარმომადგენელთა და აგრეთვე მკაწვრელთა (მწვალებელთა) სკოლებში მიიღებიან არა მართლმადიდებლის სარწმუნოების აღმსარებელნი ბავშვები მხოლოდ მაშინ, როდესაც წარმოდგენენ მშობლებისგან ანუ იმ პირთაგან, რომელთა მზრუნველობის ქვეშე იმყოფებიან, თანხმობას მათის მართლმადიდებელის უწყების სკოლაში შესვლაზედ.

6. პირველ დაწყებითს და მეორე კლასიან სკოლებში დაინიშნებიან მზრუნველად ორივე სქესის წარმომადგენელნი მართლმადიდებლის სარწმუნოებისა იმ პირთაგან, რომელთაც ხელი შეუწყეს სკოლის დაარსებას ან რამე ნივთიერი დახმარება აღმოუჩინეს მათ ყოველ საეკლესიო-საოსტატო სკოლას უნდა დაენიშნოს საპატია მზრუნველნი მამაკაცი ან ქალი. მათ ირჩევს სკოლის საბჭო მზრუნველნი დამტკიცებულ იქმნებიან ამ თანამდებობაზე საეპარქიო მღვდელმთავრისაგან.

7. იმ პირთ, რომელსაც რამივე სამსახური მიუძღვით სახალხო განათლების გავრცელებაში საეკლესიო სკოლების შემწეობით, უწყმიდესის სინოდისაგან შეიძლება ებოძათ საპატია მზრუნველის წოდება მიეღონ ეპარქიის, მაზრის ანუ საბლაღოჩინო ოლქის საეკლესიო სკოლებისა.

8. დაწვრილებითი წესები იპის შესახებ, თუ როგორ უნდა დამტკიცებულ იქმნას ორივე სქესის წარმომადგენლები საეკლესიო სკოლების საპატია მზრუნველად დადგენილ იქმნებიან უწყმიდესის სინოდისაგან.

9. საეკლესიო სკოლებში სწავლის საქმე უნდა მიანდოთ მხოლოდ მართლმადიდებლის სარწმუნოების აღმსარებელ პირთ. საღმრთო სჯულის სწავლება უნდა დაეკისროთ სკოლის გამგე მღვდლებს. წერაკითხვის, საეკლესიო-სამრევლო და საკვირაო სკოლებში საღმრთო სჯულის სწავლება შეიძლება მღვდლის გარდა მიენდოთ კრებულის დანარჩენ წევრებს, მხოლოდ გამგის მეთვალყურეობით, იმ პირობით კი, რომ თვითველ ამისთანა შემთხვევაში აღებულ იქნას საჭირო ნებათავე საეპარქიო მღვდელ-მთავრისაგან.

10. საეკლესიო სკოლებში უნდა იხმარებოდნენ სახელმძღვანელოები—საღმრთო სჯულის საგნებისა მოწონებულნი უწმიდესის სინოდისაგან და სხვა საგნებისა მოწონებულნი უწმიდეს სინოდთან არსებულის სამოსწავლო საბჭოსაგან. საკვირაო სკოლებში კი შეიძლება ხმარებულ იქნან საერო განათლების სამინისტროსაგან მოწონებული სახელმძღვანელოები.

11. საკვირაო, მეორე კლასიან და საეკლესიო-საოსტატო სკოლებში უნდა დაარსებულ იქნან საბჭოები სასწავლო და სამეურნეო საკითხთა გადასაწყვეტად. საბჭოები შესდგებიან მასწავლებელ ვაჟთა და ქალთაგან. თავმჯდომარედ უნდა იყვნენ სკოლის გამგენი. საკვირაო სკოლების საბჭოების წევრებად შეიძლება მიღებულ იქნან აგრეთვე სკოლის დადამუშავებელი და მზრუნველნი. საკვირაო სკოლის საბჭოს თავმჯდომარედ შეიძლება დანიშნულ იქნან სკოლის გამგეთა გარდა სხვა პირნიც საეპარქიო მღვდელ-მთავრის დამტკიცებით.

12. ყოველ საოსტატო სკოლასთან დაარსებულ უნდა იქნას სასოფლო-სამეურნეო იმ პირთათვის, რომელნიც მოისურვებენ სკოლაში ცხოვრებას. სასოფლო-სამეურნეოებში მოსწავლენი იცხოვრებენ საკუთარ ხარჯზედ. შესაძლენი ხარჯის რაოდენობა განსაზღვრულ იქნება სკოლის საბჭოსაგან.

13. შეუძლებელ მოწაფეთათვის შეიძლება დაწესებულ იქნას სტიპენდიები კვრძო პირთა, საზოგადოებათაგან და დაწესებულებათაგან საეკლესიო-საოსტატო სკოლებში ზემოხსენებულ სტიპენდიების გარდა დაწესებულ იქნებიან სახელმწიფო სტიპენდიები, რომელთა რიცხვი და რაოდენობა განისაზღვრება თითო სკოლისთვის უწმიდეს სინოდთან არსებულის სამოსწავლო საბჭოსაგან.

14. ორივე სტიპენდიის პირნი, რომელიც სარგებლობენ სახელმწიფო სტიპენდიებით, სწავლის დამთავრების შემდეგ მოვალენი არიან იმსახურონ მასწავლებლებად მართლმადიდებლის სარწმუნოების უწყებაში ხუთი წელიწადი, იმ შემთხვევაში, თუ სავალდებულო ხუთი წელიწადს არ გადინდის ის ხუთის წლის შესრულებამდის სამსახურს თავს დაანებებს საოსტატო სკოლის ყოფილი მოწაფენი ვალდებულნი არიან დააპრუნონ უსარგებლოდ ის ფული, რაც მათზედ დახარჯება სკოლას: ამ ვალდებულნი გამოკლებულ იქნება ნამსახურევი დროს ზვედრი. ამ მუხლს არ ექვემდებარებიან ის მასწავლებელი ქალნი, რომლებიც სავალდებულო ხუთის წლის ვადის გადახდამდის გათხოვდებიან.

15. საოსტატო სკოლებში მიიღებიან მხოლოდ ის პირნი, რომელნიც მკურნალის მოწმობას წარმოადგენენ იმის შესახებ, რომ არავითარი სხეულის იმისთანა ნაკლი არა აქვთ, რომელიც დაუშლის მათ მომავალ მასწავლებლობის თანამდებობის აღსრულებას.

პირველ დაწესებითი სკოლები.

ა) წერაკითხვის სკოლები.

16. წერაკითხვის სკოლები მართლმადიდებლის სარწმუნოების უწყებისა არსდებიან ქალაქის და სოფლების სამრევლოებში სამრევლოს მღვდელის თანხმობით და აგრეთვე მონასტერში. სამრევლო მღვდელს დაქირებულნი აქვს გამგეობა მის სამრევლოში არსებულ იმ გვარის სკოლებისა. თუ სამრევლოში რამდენიმე მღვდელია, წერაკითხვის სკოლების გამგეობა დაეკისრება ერთ იმათგანს საეპარქიო სამოსწავლო საბჭოს სამაზრო განყოფილების დანიშნით.

17. წერაკითხვის გამავრცელებელ სკოლებში სწავლა გეძლეება ორს წელიწადს.

18. წერაკითხვის გამავრცელებელ სკოლების ორივე სტიპენდიის მოწაფენი სწავლობენ საღმრთო სჯულის (ლოცვებს, საღმრთო ისტორიას, და მოკლე კატეხიზმოს) საეკლესიო-სლოვიანურ და რუსულ კითხვას, წერას, ანგარიშის პირველ ოთხს მოქმედებას და საეკლესიო გლობას.

19. წერაკითხვის გამავრცელებელ სკოლებში მასწავლებლად უნდა ამორჩეულ იქნან მეორე კლასიან მასწავლებელში სწავლა დამთავრებულნი



ან ივინი, ვისაც პირველ დაწყებითი სკოლის მასწავლებლობის მოწმობა აქვთ ზემოხსენებულ სკოლებში სწავლება მიენდობათ აგრეთვე კრებულის წევრთა და აგრეთვე სხვა პირთაც, რომელნიც დანინიშვებიან ამ თანამდებობაზედ საეპარქიო სამოსწავლო საბჭოს სამაზრო განყოფილებისაგან.

ბ) საეკლესიო-სამრევლო სკოლები.

20. საეკლესიო-სამრევლო სკოლები არსდებიან ეკლესიებთან და მონასტრებთან საეპარქიო სამოსწავლო საბჭოს ნებართვით.

21. საეკლესიო-სამრევლო სკოლები შეიძლება იყენენ ერთკლასიანი და ორკლასიანი; ერთკლასიან სკოლებში სწავლა გძელდება სამს წელიწადს; და იმ სკოლებში, სადაც კი არა რუსები სწავლობენ ან იქ, სადაც საეპარქიო სამოსწავლო საბჭო ამას საქიროდ დინახავს, ოთხს წელიწადს. სწავლა ორკლასიან სასწავლებელში გძელდება 5 წელიწადს.

22. საეკლესიო-სამრევლო სკოლებში მიიღებიან ბავშვები არა ნაკლებს 8 წლისა.

23. საეკლესიო-სამრევლო სკოლებში ასწავლიან შემდეგ საგნებსა 1) საღმრთო სჯულს (ლოცვებს) საღმრთო ისტორიას, ღვთის მსახურების განმარტებას და მცირე კატეხიზმს 2) საეკლესიო გალობას 3) საეკლესიო სლოვიანურ წერაკითხვას 4) რუსულ ენას, 5) წერას 6) პირველ დაწყებითს ანგარიშს 7) ხელსაქმეს (ქალიშვილებისათვის) ორკლასიან სკოლებში ზემოხსენებული საგნების გარდა ასწავლიან: მოკლე საეკლესიო და სამოქალაქო ისტორიას, გეოგრაფიას და ფიზიკიდგან მოკლე ცნობებს ბუნების უმთავრეს მოვლენათა შესახებ, ხაზვას და ხატვას, უკანასკნელს შეძლებისა და გვიარდა.

24) საეპარქიო სამოსწავლო საბჭოს თანხმობით, შეიძლება დამატებითი გაკვეთილები შემოღებულ იქნან არსებულ პროგრამის საზღვრებ შორის და აგრეთვე სასკოლო ან სხვა შენობაში გაკვეთილები მოზრდილთათვის, სახალხო საკითხავები და კურსები საეკლესიო გალობისა და ხელობათა შესწავლებლად.

25. საეკლესიო-სამრევლო სკოლების გამგეობა დაეკისრებათ სამრევლოს მღვდლებს თუ სამრევლოში რამდენიმე მღვდელია, სამრევლო სკოლების გამგედ საეპარქიოს სამოსწავლო საბჭოს სამაზრო განყოფილება ირჩევს ერთს მათგანს.

26. მასწავლებლებად საეკლესიო-სამრევლო სკოლებისათვის უნდა ამორჩეულ იქნან ის პირნი, რომელიც პირველ დაწყებითი სასწავლებლების მასწავლებლობის მოწმობა აქვთ, ან საშუალო და უმაღლეს სასწავლებელში სწავლა დამთავრებულნი არიან. თუ ამისთანა პირნი არ მოიპოვებიან მასწავლებლად სამრევლო სკოლებში შეიძლება დანიშნულ იქნან აგრეთვე ორკლასიან სკოლებში საუკეთესოდ სწავლა დამთავრებული ან ის პირნი, რომელთაც საეპარქიო სამოსწავლო საბჭოს სამაზრო განყოფილება იცნობს მასწავლებლობის ღირსად.

გ) საკვირაო სკოლები.

27. მართლმადიდებლის სარწმუნოების უწყების საკვირაო სკოლებში სწავლა წარმოებს წირვალოცვის შემდეგ კვირა და დღესასწაულებში.

28. საკვირაო სკოლებში შეიძლება დაარსებულ იქნან მხოლოდ საეპარქიო სამოსწავლო საბჭოს ნებართვით, იმ შემთხვევაში, როდესაც ზემოხსენებულ სკოლები დაარსებულ იქმნებიან ქარხნებთან, საქიროა ნებართვა აღებულ იქმნას საგუბერნიო მთავრობისგანაც.

29. საკვირაო სკოლებში მიიღებიან როგორც ბავშვები, აგრეთვე მოზრდილებიც.

30. საკვირაო სკოლებში სწავლა სწარმოებს ერთ კლასიან სამრევლო სკოლების პროგრამით. საკვირაო სკოლებთან საეპარქიო სამოსწავლო საბჭოს ნებართვით შეიძლება დაარსებულ იქმნან ხელსაქმის და ხატვა-ხაზვის კლასებში.

31. საკვირაო სკოლების გამგედ ამორჩეულ უნდა იქმნას სამრევლოს მღვდელი, რომელსაც სამოსწავლოს საბჭო ნიშნავს.

32. საკვირაო სკოლის მასწავლებლებად შეიძლება ამორჩეულ იქმნან ის პირნი, რომელთაც ერთკლასიან სამრევლო სკოლების მასწავლებლობის მოწმობა აქვთ.

33. საკვირაო სკოლის მასწავლებელნი უნდა ამორჩეულ იქმნან იმ დაწესებულებათა, საზოგადოებათა და პირთაგან, რომელთა საშუალებით ივინი არსებობენ (23 მუხ. პარ.) მხოლოდ უნდა დამტკიცებულ იქმნან საეპარქიო სამოსწავლო საბჭოს მიერ, გუბერნიის მთავრობის თანხმობით.

(შემდეგი იქნება)

მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დასდღის ცხოვართათვის. იოან. 10—11.
შვრე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. მსრეთ იყოს სისხარულათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.
მოვედით ჩემდა ყოველნი მამურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განვისვენოთ თქვენ. მათ. 11—28.

№ 11

1883—1902

15 ივნისი

ქართულ საეკლესიო გალობის მოკლე ისტორიული მიმოხილვა.

უკანასკნელ ხანებში უწმიდესმა სინოდმა განსაკუთრებით ყურადღება მიაქცია საეკლესიო გალობას. წინეთ გალობას სასწავლებლებში დიდ ყურადღებას არ აქცევდენ, მაგრამ დღეს მკაცრი ყურადღება არის მიქცეული გალობის ჯეროვანად შესწავლაზე. მრავალ ადგილას იმართება საზოგადოება ესრედ წოდებულ გალობის მოყვარულ პირთაგან. ეს საზოგადოებანი მმართავენ სასულიერო კონცერტებს და ამნაირად საზოგადოება უმეტესად ეცნობა სასულიერო გალობას. 2 ამა ივნისის თვეს საზოგადოებამ გამართა თფილისის პირველ ქალების გიმნაზიაში სასულიერო კონცერტი. აქ შეკრებილ

საზოგადოების ერთმა წევრმა ბ. ი. გ. მონადირა-შვილმა გააცნო საზოგადოება მოკლე ქართული საეკლესიო გალობის ისტორიას. სიამოვნებით ვებქვათ ბ. მონადირა-შვილის რეფერატს ჩენი ქართული საეკლესიო გალობის შესახებ.

ბ-ნმა მონადირა-შვილმა განუშარტა დამსწრე საზოგადოებას, რომ საქართველო, კლასიკურ მწერლების მიერ „ივერიად“ წოდებული, ერთი უძველესი კულტურული ქვეყანააო. ქართველმა ერმა აწინდელი ტერიტორიალური ბინადრობა ამიერკავკასიაში, სახელდობრ მტკვრისა, როონისა და კოროხის ხეობებში, დიმიკვილრა ქრისტეს დაბადებამდის მეშვიდე საუკუნეში. ქართველი ერი, კერძო თემებად განაწილებული, დასახლდა უშთაფრეს მდინარეების მახლობლად და სულ მოკლე ხანში საეკერო აღებ-მიცემობა გამართა შავი ზღვის პირად





მდებარე ბერძნების ახალშენებთან. სამხრეთით საქართველომ დაიპირა დამოკიდებულება საბაზრო აზრით ფინიკიელებთან და ასურელებთან, რომელთაც უგზავნიდა მონებს და საქართველოშივე მომადებულ საზღონების ჭურჭელს. სწორედ იმ დროს, როცა ქართველებმა განაცხოველეს სავაჭრო კავშირი ევროპასა და აზიასთან, ბევრმა მეზობელმა ერმა მტრულის თვალთ დაუწყო ცქერა საქართველოს. ამ დროს უმთავრესს სავაჭრო ქალაქებს: მცხეთას, სურამს და შორაპანს უნდა ეთავათ სავაჭრო ურთიერთობის დაცვა და მთელის ქვეყნის მტრისაგან უზრუნველ-ყოფა. მტრის წინაშე შიში ქართველთა სხვადასხვა თემებს უახლოვებს ერთმანეთს.

საეკლესიო გალობის პირველ დასაწყის ხანად საქართველოში უნდა მივიღოთ მხოლოდ ქრისტიანობის შემოღების დრო.

საეკლესიო გალობის ისტორია შესაძლოა განაწილდეს ოთხ სხვადასხვა ხანად. პირველი ხანა იწყება ქრისტიანობის შემოღებიდან მათე საუკუნემდის; მეორე ხანა მეთორმეტე საუკუნის გასვლამდის; მესამე—მე-ΧII საუკუნიდან მეჩვიდმეტე საუკუნის ნახევრამდის და უკანასკნელი მეოთხე ხანა—ვიღრე ჩვენს დრომდის. თვითოეული მოხსენებული ხანა ბნელ მონადირაშვილმა მოკლედ დაახასიათა და გააცნო საზოგადოებას საეკლესიო გალობის უმთავრესი ხასიათი.

ივერიის ეკლესია თან-და-თან წარმატების გზას ადგია და ამის მიხედვით საეკლესიო გალობაც წარმატებაში მიდის. ეკლესიებში თანდათან შემოაღეს დროისა და შემთხვევის შესაფერი საეკლესიო მელოდები. ამ ხანის საეკლესიო საგალობელთა თვალსაზრისით მთხვევლად ჩითვლება შიო მღვიმელი (VI საუკ.), რომლის მიერ შედგენილი ტრაპარები ამ წმინდანის მონასტერში დღესაც იგალობება.

შიო მღვიმელის გარდა საეკლესიო საგალობლების მთხვევლებად ცნობილი არიან აგრეთვე სინას მონასტრის ბერ-მონაზონი იოანე და მღვდელი იოანე საბანისძე. მე-IX საუკუნის დასაწყის ივერიის ეკლესიაში უკვე დამთავრებული საეკლესიო გალობა გაისმოდა. მეორე ხანა ჩითვლება საეკლესიო გალობის სრულ განვითარების ხანად. საზოგადოებამ ამ დროს დიდი სიყვარული და ინტერესი გამოიჩინა საზოგადოდ ეკლესიის და კერძოდ საეკლესიო გალობისადმი. საეკლესიო გალო-

ბას თვითონ მეფეები დიდის გულ-მოღვინებით სწავლობენ და ამასთანავე დიდ მფარველობასაც უწყვენ. მეფე დავით აღმაშენებელი ამ დროის ერთი შესანიშნავი საეკლესიო საგალობელთა მკოდნე იყო. მთელი საქართველო მოიფინა სკოლდენი, საცა, გარდა საერო საგნებისა, ასწავლიდნენ აგრეთვე საეკლესიო გალობასაც. ამ სკოლების მოწვევნი მიქე მოდრეკილი, კათოლიკოსი არსენი, ევისკოპოსი იოანე მტბვეარი და სხვანი შემდგეში შესანიშნავნი საეკლესიო გალობის მკოდნენი იყვნენ.

ამ დროის საეკლესიო გალობის მკოდნენი უკვე სარგებლობდნენ ერთგვარის ნოტებით, რომლის ნიმუშები დღემდის დაცულია სამს კრებულში; ამითში ორი ინახება საეკლესიო მუზეუმში, ხოლო მესამე, მიქელ მოდრეკილის კრებული,—ქ. შორის წერა-კით. გამავრც. საზოგადოების წიგნთ-საცავში. ბ-ნი მონადირაშვილი დაწვრილებით აღნიშნავს ამ კრებულთა დიდ მნიშვნელობას საეკლესიო გალობის მკვლევართათვის.

ბოლოს ლექტორი აღნიშნავს აგრეთვე ორს კრებულს: ალავერდის ძილის-პირებს და გულანს, რომელთაც, ბ-ნ მონადირაშვილის აზრით, დასახელებულ კრებულტებზედ არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს.

მესამე ხანა საეკლესიო გალობის დაქვეითების ხანად უნდა ჩითვალოს. საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობის შეცვლამ დიდი გავლენა იქონია საეკლესიო გალობის განვითარებაზედ. შაჰ-აბაზის მიერ საქართველოს დარბევის დროს ბევრი მონასტერი იქმნა განადგურებული, ბევრი საეკლესიო გალობის მკოდნენი იქმნენ წამებულნი. ისტორიამ სულ ცოტა, მცირე მასალა შეგინახა ამ დროის საეკლესიო გალობის შესახებ. მიუხედავად ამ დაქვეითებისა, არა ერთი სამოღვლო იღვრდა კიდევ საეკლესიო გალობის განვითარებისათვის. ამ გვარ მოღვაწეებად ლექტორმა დასახელა კათალიკოსი არსენი ბულმაისის-ძე, გიორგი უყრული, მათე გოტიძე და სხვ.

მეოთხე ხანას ლექტორი საეკლესიო გალობის განახლების ხანათა სთვლის. საქართველო თანდათან თვისი უფლდება მაჰმადიანთა მტარველობისაგან, სახელმწიფოს წეს-წყობილების მექანიზმი საკეთილდ იცვლება. ვახტანგ VI, ქათალიკოსი ანტონი, გაიოზ მთავარ-ევისკოპოსი და ირაკლი მეორე დიდის გულ-



მოადინებობით სცილოდნენ სხვა-და-სხვა რეფორმების შემოღებას. სხვა რეფორმათა შორის განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს საეკლესიო გალობასაც, მცხეთისა, გელათისა და წმ. დოდოს მონასტერში საფუძვლიანად ფეხი მოიკიდა საეკლესიო გალობის გუნდმა. მთელს საქართველოში ამ დროს შესანიშნავ გუნდათ ითვლებოდა გელათის მონასტერში თამაზას საეკლესიო გუნდი. წმ. დოდოს მონასტერში საეკლესიო გალობის განსასხატაკებლად იღვწოდა ქათალიკოსი ზაქარია ქკარიანი.

საეკლესიო გალობას დიდ მფარველობას უწყევდა თვით სამეფო გვარეულობა. ტახტის მემკვიდრეებს სავალდებულო საგნად ჰქონდათ მიჩნეული საეკლესიო გალობის შესწავლა. მეფე ირაკლი პირველის მეუღლემ ანნამ მემკვიდრეთიშურაზ მეორეს მოუწვია საეკლესიო გალობის მასწავლებლად დიმიტრი ხელაშვილი. 1764 წელს ქართველ მღვდელთაგანათა კრებაზე, რომელიც მოწვეულ იქნა კათალიკოს ანტონის პირველის მიერ ირაკლი მეორეს თანადასწრებით, საყოველთაოდ დაადგინეს განსაკუთრებული ყურადღება მიეცეს ქართულ საეკლესიო გალობასა. ყოველ ამ ღონისძიებათა საშუალებით საეკლესიო გალობა მეტად განვითარდა და სასურველ ნიადაგზე დამყარდა.

ბოლოს ლექტორი შეგნო საეკლესიო გალობის მდგომარეობას საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ და ამ ხანის უმთავრესი მომენტები დაწვრილებით განუშარტა საზოგადოებას. („ივერია“)

დკკ. ა. ღამაშიაძე.

(შემდეგი იქნება.)

ქეკობაძეული რწევა ჩვენს უმაწვილუკას.

(თარგმანი)

„თვისი ხასიათის გაწურთენა შოლოდ კეთილ განზრახვით შეუტლებელთა: უნდა იმეშაო შენს თავზედ ისე, როგორც მკვდელი უროთი გრდმელზედ.“

ფრაუდი.

„ამირიღგან ძმანო რავედნ არს ქეშარტი, რავედნი პატოსან, რავედნი მართალ, რავედნი წმიდა, რავედნი სათაურელ; რავედნი საქებელ, რავედნი სათნო და რავედნი ქებულ; მას ზრახვიდეთ. (პავლ. მოც. ფილ. თავი 4, მუხ. 8).“

ძველად ერთმა იტალიელმა მხატვარმა, რომელიც დიდხანს დაფიქრებული, გულზე ხელ-დაკრფილი და თავ-ჩაღრუბული იდგა მისგან დახატულ სურათის წინ, წაილაპარაკა: „შემინდოს შემომქმედმა, რომ უკეთესად ვერ დავხატე ეს სურათი!“

მრავალნი, როდესაც მიალწევენ სიბერეს, თვალს გადაავლებენ ვაგილი ცხოვრებას ზმხოლოდ მაშინ გაიხსენებენ იმას, თუ როგორ არაფრად ავდებდნენ ისინი კეთილ პირობებს ცხოვრებაში; ან ფიქრობენ იმაზედ, რომ მას დაუტევებენ მომავალს, რომ ისინი გაიხსენონ, მუშაბრებით გაიმეორებენ სიტყვებს ხსენებული მხატვრისას: „შემინდოს მე შემომქმედმა, რომ ვერ შევცლი ჩემი ცხოვრების კარგად წაყვანა და ვერ შევსწირე იგი უფრო ნაყოფიერ საქმიანობას!“

აღამიანები რომ ხელმძღვანელობდნენ ამისთანა მოსახრებებით დაბრუნებამდის, ნამდვილად ბევრი მთვანი კარგად და გონიერულად მომართავდა თავის ცხოვრებას. ხშირად გვესმის ადამიანებიღგან შემდეგი სიტყვები: „მე რომ შემემდლოს ჩემი ცხოვრების ხელ-ახლად დაწყება, მაშინ სულ სხვაფერ წავიყვანდი მას; არ ჩავიდენდი იმ შეცდომებზე, რომლებსაც მე ეხლა ცხადდ ვარჩევ; დავიჭვრდი თავს ფრთხილად იმ გატაცებისაგან და ცოდვებისაგან, რომლებსაც ასე ჩირქი მოსკვს ჩემს ცხოვრებას; ჩემი ცხოვრების შევსწირავდი მტკიცედ და გულმოდგინეთ უფრო კარგ მიზნებს და პატოსან საქმეების მიღწევას“. რაც უნდა იყოს მაინც ცხოვრების ხელ-ახლად დაწყება ჩვენთან არ ძალ-უძს; ახალ-გაზრდებს კი ავგილიდ შეუძლიათ თავიანთი ცხოვრების ისე წაყვანა, რომ სიბერის დროს არ ინანონ. ჩვენ ახალგაზრდობაში არ შევიცილია ვისარგებლოთ ჩვენი გამოცდილებით, მაგრამ შევიცილია ვისარგებლოთ სხვების გამოცდილებით; შევიცილია ვისარგებლოთ იმათი მაგალითებით, რომელთაც ცხოვრების გზა ჩვენზე წინ გაიარეს: შეცდომები ჩვენი წინამორბედებისა ჩვენთვის გაკვეთილები იქნება, ხოლო მათი ცხოვრებაში წარმატება და წინსვლა ჩვენ უნდა გვაიმხვევდეს იდეალისადმი ლტოლვილებათაში. ჩვენ საშუალება გვაქვს ვისწავლოთ ჩვენი ტოლებიდანაც, რომელთაც ცხოვრებაში გამოცდილება ჩვენზე მეტი არა აქვთ. თითქმის ყოველ კაცს, რომელთანაც ჩვენ ხშირად ვართ, შეუძლია გვაჩვენოს ჩვენი ნაკლებუცვანება, რომელსაც ვამჩნევთ ჩვენს ცხოვრებაში და ყოფაქცევით. ამნაირად ბევრს, ჩვენს ახლო მეოფეს ადამიანს, შეუძლია გვასწავლოს ჩვენ ჩვენი ცხოვრების უკეთ წაყვანა. კეთილ-გონიერება თხოულობს, რომ ჩვენ უნდა ვსარგებლობდეთ ამ გვარი რჩევებით.

ამ საუბრის ავტორი შეეხვეწა რამდენიმე ახალგაზრდა ქალს ენასწავნათ მისთვის შემდეგ კითხვებზე: 1) თქვენის აზრით, რომელი ნაკლი უფრო ეტყობათ იმ ყმაწვილებს, რომლებსაც თქვენ ხშირად ხვდებით საზოგადოებაში; 2) დამისახელეთ რამდენიმე ზნეობრივი თვისება, რომლებიც აქვთ იმ ყმაწვილებს, რომლებსაც ცოტად თუ ბევრად თავიანთი ცხოვრება იდეალისავენ აქვთ მიქცეული.

უქვევლია, რომ არავის არ სურს იქნეს კრიტიკის საგნად; გონივრული სჯის დროს, მაინც, ჩვენ ვრწმუნდებით იმაში, რომ ჩვენ სასიხარულოდ უნდა მივაჩინდეს ჩვენში რაიმე ნაკლის აღმოჩენა. ის კი არ უნდა გვიხაროდეს, რომ ვიტანჯებით ამ ნაკლით, არამედ ის, რომ ჩვენ ვავიგეთ მისი არსებობა; ნაკლულევანების აღმოჩენა ყოველ კეთილ მოაზრე ადამიანს წაადგმევენებს ფეხს წინმსვლელობის გზაზედ, იდეალის მისაღწევად. ჩვენს ხასიათში რაიმე ნაკლულევანების გაგება ნიშნავს მაშინვე მისი გასაქარწყლებელი ღონის ქონებას. თუ არა და ჩვენ ვვარდებით იმისთანა მტრის ხელში, რომლის წინ უღონო ვართ, და რომელიც შეაშფოთებს ჩვენს სულიერ სიმშვიდეს. თუ არ მოვიშორებთ რომელიმე ჩვენს ნაკლს, ჩვენ ვიტოვებთ ხასიათში ისეთს იარას, რომელიც გაიდგამს ფეხებს, დაიმორჩილებს დასაღუპავად ჩვენის სულის მიმართულებას და იქნება კლდედ, რომელზედაც ადრე თუ გვიან შეუძლია დაეჯახოს და დაიღუპოს ჩვენი ცხოვრება. კაცობრიობას უნდა ჰქონდეს მიზნად თვითგანვითარება (самоусовершенствование). ყოველი სულით მაღალი კაცის წინ მუდამ არის იდეალი, თუნდაც (შეიძლება) მიულწეველი, მაგრამ მისი მიზნიდევლი ღვათებრივ ქეშმარიტებისაკენ. ამისათვის შეგნებულად არავინ არ უნდა დაუშვას, რომ ცოტ ცოტა გააბათილებამ რაიმე მწიკელი მოსტბოს ჩვენს სულიერ სიწმიდეს.

ცნობილია ფაქტი, რომ ერთი ავტორი, შეუღდა რა იგი თავის თხზულებათა ახალ გამოცემას, წინდაწინ გაუგზავნა თავის მეგობრებს რამდენიმე ცალი თავისი ნაშრომისა და სთხოვა წაეკითხათ და გაეჩიათ, ეჩვენებინათ უმცირესი ნაკლიც, მოუხერხებელი გამოთქმა, დაკვირვებოდნენ ყოველ მუხლს, ყოველ გამოთქმას. «გააჩიეთ შეუბრალებლად, სწერდა ის თავის მეგობრებს, რადგან

მისურს, რომ ჩემი წიგნის მეორე გამოცემა უნაკლულო იქნეს“. ეს მაგალითი უნდა გვეოდეს ყველას ჩვენს ცხოვრებაში. არც ერთმა ცრუ თავის მოყვარებამ არ უნდა შეგვიშალოს ხელი ჩვენის სულიერის თვისებების გასაუმჯობესებლად. მოთმენით უნდა მოვისმინოთ მკაცრი დაზრახვანი ჩვენის მტრებიდან: ავწონ-დაწვწონათ მათი აზრი ჩვენზედ, და თუ ვბოვებთ იმაში, თუნდაც პატარა სიმართლეს, უნდა მივიღოთ მათი შენიშვნანი და ვეცადოთ გავისწოროთ ის ცული თვისებები, რომლებზედაც ჩვენ ვვითმებენ, იმ მოსაზრებით, რომ ეს ჩვენი ცხოვრებისათვის საკეთილი იქნება.

არავის ჩვენთაგან არ შეუძლია იქნეს თავისი თავის პირთუნელ მასწავლებლად. ისინი, რომელნიც თვით სწავლობენ, თვითონ, სხვის დაუხმარებლად, იღებენ განათლებას, უმეტესი ნაწილი ცული განათლებული არიან; ბევრი მათი ნაკლულევანებანი რჩებიან გაუსწორებლად, რადგან არ ჩავარდლილან კეთილ-გავლენიან კრიტიკის ქარ-ცეცხლში, იმიტომ რომ კაცს არა აქვს საშუალება ცხადად შეიმჩინოს თავისი ნაკლი, რადგან მკაცრად თავის თავს ვერ ეფერება.

ბევრი კაცი იტანჯება იმისთანა ნაკლულევანებთაგან, რომელთაც ის ვერ ამჩნევს თავის თავს. მაგრამ სხვებისათვის კი ადვილი შესამჩნევია. გაბედულება გვინდა, რომ მოვთხოვოთ სხვებს გვაჩვენონ ჩვენ ჩვენი ნაკლულევანები; ძალიან კარგს შერბა ის, ვინც მგვობრებიან და ნათესავეებიდან სარგებლობს რჩევებით და დარჩენებით.

ყოველი ჩვენი სიტყვა მოხსენებულ კითხვების შესახებ აღძრულია ყმაწვილების საკეთილდღეოდ. ერთი ჩემი კორესპონდენტი ქალი მწერს: „მე გამომაყვას ის დსკენა, რომ საზოგადოდ ნაკლი ყმაწვილებისა იგივენია, რომლებთაც იტანჯებიან ყმაწვილი ქალები“. მეორე მწერს: „თუ შევადარებთ კაცების და ქალების სათნოებას, ის დსკენა გამომაყვას, რომ ისინი ერთნაირნი არიან; ვარჩევას არის მხოლოდ იმაში, რომ მამაკაცებს საშუალება აქვთ გამოიჩინონ თავიანთი სათნოება სხვა ასსარგზზედ, ვიდრე ქალებს... მესამე მწერს: „ყმაწვილების ნაკლთა რიცხვს ეკუთვნის მათი თავიანთ თავზედ დიდი წარმოდგენა (самомнение); ყმაწვილები ახირებულად შეკყურებენ უფროსების და გამოცდილი ადამიანების აზრებს, ფიქრობენ, რომ



თვითონ მათ შეუძლიათ შეუცდომლად ყველაფერზედ სჯა-ბაასი და გაგება და არ საჭიროებენ სხვების დარიგებას. ისინი თვით კმაყოფილნი არიან და სხვებისაგანაც მოვლიან ქებას და თავყანისცემას; იმას კი არ ფიქრობენ, ღირსი არიან თუ არა ამ ქება-დღეობისა.

ამაზედ ჩვენ სრული ნება გვაქვს შევნიშნოთ, რომ ყმაწვილები ასე თავიანთ თავზედ დაიმედებულნი არ იქნებოდნენ, რომ მათთან ახლო მყოფნი ექცეოდნენ მათ მიუღდგომლად და რომ პირმოთნეობით და მოტყუებით არ აქებდნენ მათ ნიქსა და საქციელს. ძალიან ხშირად ყმაწვილი ქალები თვითონ არიან დასაშაულნი, როცა ყმაწვილები ეპყრობიან მათ ამაყად და ათვალისწუნებით*.

სხვა-და-სხვა აზრებით ჩემი კორესპონდენტი ქალები მიჩვენებენ ყმაწვილების ზემოხსენებულ ნაკლს, რაც ამტიკცებს იმას, რომ ყმაწვილები-საგან თავიანთ თავზედ დიდი წარმოდგენა ნამდვილი გავრცელებული ნაკლია. ადვილად შესამჩნევია, რომ ბევრი ყმაწვილ კაცებთაგანი იმისთვის არიან თავიანთ თავზე დაიმედებულნი, რომ ცხოვრებას მათთვის კიდევ არ უსწავლდება სინამდვილით დაფასება თავიანთი ნიქისა; მართლაც, რაც უფრო ხანში შეგვივართ ჩვენ, მით უფრო ნაკლებად ვოცნებობთ ჩვენს თავზედ, იმისთვის რომ მკაცრი ომი ცხოვრებისა ხალხთა შორის გვასწავლის სიმშვიდეს და გვაფხიზლებს. თავის თავზედ დიდი წარმოდგენა მაინც იმდენად სერიოზული ნაკლია, რომ თვითუფლი ყმაწვილი შეამჩნევს რა მისს არსებობას, უნდა მომეტებულად ეცადოს მის აღმოფხვრას.

უნდა, ვსთქვათ მაინც, რომ თავის თავზედ დიდი წარმოდგენა ძალიან ახლო სდგას საქებ თვისებებთან, რომლებიც არიან: გრძნობა თავის პატივისა (чувство собственного достоинства) და ღირსებისა. გამოცდილ-მხატვარს რამოდენიმე კალმის მოსმით შეუძლია გადაასწოროს მკაცრი და ამპარტანული გამომეტყველება წყნარ და მშვიდ სახედ. რასაკვირველია ასეთი ცვლილების მოხდენა ტილოზედ უფრო ადვილია, ვიდრე ადამიანის ხასიათში. ჩვენი ნაკულუეანების გადასწორება ჩვენსავე ხელშია და ამას უნდა ვცდილობდეთ იდეალის მისაღწევად. ერთად ერთი გზა ჩვენის ნაკულუეანებების გასწორება და კეთი-

ლად შეცვლა არის—გულ-წრფელი შეგნება ნაკლისა და სურვილი მათგან განთავისუფლებისა. ეს ჩვენ ძალ-გვიძს მაშინ, თუ გავყვებით ქრისტე მავალითს, რომელიც არის უმაღლესი იდეალი ზნეობრივი სისრულისა. თავის თავზედ დიდი წარმოდგენა შეიძლება შეიცვალოს დიდ ნაკლად, რადგან მას მოსდევს ბრმა თვითკმაყოფილება და მედიდურობა (высокомерие). ამ ნაკლს ჩვენ მაშინ მოვიშორებთ, თუ ცხოვრებაში თავს შევიწირავთ კეთილ მიზნების მიღწევას,—ადამიანთა საკეთილდღედ ზრუნვას თუ ჩვენს თავზედ დავიკისრებთ.

ე. მალაქიაშვილი.

(შემდეგი იქნება)

სამწუხარო მოვლენა.

ქურნაღს „საქართველოს საექსარხოსოს მამბეში“ ჩვენ ვკითხულობთ მათი მაღალ ყოვლად უსამღვდელოეობის, საქართველოს ექსარხოსის შემდეგ საყურადღებო განკარგულებას:

„ბოლო დროს ბლადიჩინები და მონასტრის გამგენი ძლიერ ხშირად მასმენენ მე მათდამი რწმუნებულ ეკლესიების და მონასტრების გაცარკვას—ვაგრებენ ეკლესიების და მონასტრების ზედამხედველებს, და აგრეთვე ეკლესიის მნათებეს-მიიღონ ყოველივე ღონისძიება ბოროტ განმზრახველთა წინაღმდეგ, რათა დაიცვან ამ სახით ეკლესიის ქონება“.

ოცი წლის წინეთ, რამდენიმე შესამჩნევი გაქურდვისა და თავზე დასხმისა, როგორც ხალხში, ისე გაზეთებში აღძრა კითხვა პოლიციის გაძლიერების შესახებ. ხმა ხალხისა და ბეკვდიის სიტყვისა ისმინა უმაღლესმა მართებლობამ და რაც შესაძლო იყო მოუმატა პოლიციის მოსამსახურე პირთა და მასთან დაუნიშნა საქმეო ჯამაგირები. ამის შემდეგ ყველას ეგონა, რომ უზრუნველი იყო ყოველი მოქალაქე. მაგრამ წარმოიდგინეთ, ქურდობა ეკლესიებისა და ხშირი თავდასხმა არა თუ

არ მოისპო, არამედ კიდევ იმატა. ბოლოს ვგონებ ამ ხშირი ქურდობისა და თავზე დასხმის შედეგი იყო დანიშნა ესრედ წოდებული „სტრაჟნიკებისა“, რომელნიც ყველგან არიან მოყენილი ჩვენს მხარეში. მაგრამ, სამწუხაროდ, ესლაც არ ისობა ქურდობა, თავზე დასხმა და ცარცვა-გლეჯა. ჩვენ იმას ვარ ვამბობთ, რომ ეს „სტრაჟნიკი“ თავის მხრით ერთგულად არ მსახურებდა. არა, ხშირი სიკვდილი მათი აქა-იქ გავარდნილ კაცთა დაქერის დროს ცხადად ამტკიცებს, რომ იგინი თავს არ იზოგავენ, მაგრამ, სამწუხაროდ, ცარცვა-გლეჯა, და საუბედუროდ ამ უქანასკნელ დროს ეკლესიების ხშირი გაცარცვა საოცარია, რის მსგავსი წინეთ არავის ახსოვს. უქანასკნელი შემთხვევა — მარტყოფის მონასტრის გაცარცვა და მისი აკლესია გასაშტერებელია. აი რას ვკითხულობთ გაზეთ „კავშირში“ ამ მონასტრის გაცარცვის შესახებ:

„31 მაისს, საღამოს შვიდის ნახევარზე, როდესაც წმიდა ანტონის მონასტერში (ღვთაება) მარტყოფში საღამოს ლოცვა გათავდა, ბერ-მონაზონმა მამა გერმანმა (იაშვილი) ჩამოილოცა და აღსავლის კარებს ხურავდა, იმ წუთში ტაძარში შემოვიდა ათი თავით ფეხმალის შეიარაღებული კაცი სხვა-და-სხვა ფერის ჩოხებით; ერთი მითვანი, ეტყობა, უფროსი ავაზაკი ეკლესიის კარებში გაჩერდა, დანარჩენმა სხვამ უტბად ერთად დასცალეს თოფები ქერისკენ. გულდახეტილი მლოცვეები ამ გვარის მოულოდნელის და შესაზარი თავდასხმით საკურთხეველში შეცვიდნენ, მათ თან შეჰყენენ ავაზაკიც და ერთმა მათგანმა მამა გერმანს თოფის კონდახი დაჰკრა მხარში, წააქცია ტრაპეზთან და დაუყვირა: „გზლავე გვითხარი, ფული სდა გაქვთ, თორემ მოგკლამითა“. ამანე კარებში მდგომმა ბრბოს მეთაურმა დაუყვირა: „არავინ არ მოკლათ!“. მაშინ ავაზაკებმა იპოვნეს საფულე, სადაც მარტო 75 მანეთი იყო. ავაზაკებმა ეს ფული ამოიღეს, აგრეთვე ნივთები და სამკაული ეკლესიისა — სულ ოც-და-ათ თუმნამდის ღირებული და გამოვიდნენ ეკლესიიდან და ტყისკენ გასწიეს. ეკლესიაში მლოცველები ბევრი იყვნენ — ქალი და კაცი, მათ შორის უიარაოდ ოფიცერი, გიმნაზიის და კადეტთა კორპუსის მეგობრები და სხვანი. ამ საზოგადოება ამბავმა უტბად მოიბრინა ქალაქში, რის გამო აღმინისტ-

რაცია იმავე წამში დაფაცურდა, და მარტყოფში გამგზავრა მხარის უფროსი ბოქაულებით და დარაჯებით. ჯერ-ჯერობით არ იციან, ვინ არიან ავაზაკები ან საით წავიდნენ. სასტიკი ზომები მიიღეს მათ აღმოსაჩენად.“

იმედია, რომ მართებლობა გამოიკვლევს უმთავრეს მიზეზს ეკლესიების ასე ხშირად გაცარცვისას და მოსპობს ამისთანა სამწუხარო მოვლენას. სასულიერო წოდება, სამღვდლოება და სტაროსტები ბეჯითად უნდა აღსრულებდნენ უწმიდესი სინოდის უქაზს, რომლთაც ნაბრძანები იყო, რომ ეკლესიაში ფულები არ დაარჩინონ ოც-და-ხუთ მანეთზედ მეტი და ექსარხოსის ბრძანებაზედ ბეჯითად უნდა აღსრულონ. ჩვენ გვიკვარს, რომ ზოგიერთი ეკლესიებიდან ფულები გააქვსთ ას მანეთამდე, როდესაც ნაბრძანებია, რომ 25 მანეთზე მეტს ეკლესიებში არ უნდა ინახავდნენ!..

დ. ჯ. დ. ჯ. დ. ჯ.

სია საკითხებისა,

რომელიც მისსახეურ-ინსპექტორის მღვდლის ტარას ივანიჩის აზრით განხილული უნდა იყოს ქართლ-კახეთის სამღვდლოების მომავალ კრებაზედ.

კავკასიაში მართლ-მადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების საბჭომ წინადადება მისცა თავის უწყების მისიონერ-ინსპექტორებს წარმოადგინონ საკითხნი, რომელთა განხილვა, მათის მოსაზრებით, მომავალს საგვარქო სამღვდლოების კრებაზედ სასარგებლო იქნება. მისის გასულს სოხუმის ეპარქიის მისიონერ-ინსპექტორმა მღვდელმა ტ. ივანიჩიმ წარადგინა განსახილველად ორმოცი საკითხი და მასთან წარგზავნა სია ქ. სამარაში შარშან მომხდარის კრების მიერ განხილულ საკითხებისა და დადგენილებანი 8 ეპარქიის სხვა-და-სხვა ხალხთა განათლების მმართველთა წარმომადგენლებისა, სამარის ეპისკოპოსის გულის თავმჯდომარეობით, რომლის განაჩენიც დაბეჭდილია მოსკოვის სამისიონერო საზოგადოების ეურნალში, № 20, ოქტომბერს 1901 წ., „Православный Благочестник“-ში.

აი სია იმ 40 საკითხისა, რომელიც მ. ტარა



სის წარუდგენია ქართლ-კახეთის სამღვდლოების კრების საყურადღებოდ:

1. საქართველოს საეგზარქოსოს სხვა-და-სხვა კუთხეებში დაარსდეს სამისიონერო სტანები, მავალითაჲ: ზაქათლის ოლქში, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში, ბათუმის ოლქში, აფხაზეთში და სხვ. იმ გვარი სტანები, როგორც აქვს მოსკოვის სამისიონერო საზოგადოებას თავის უწყებების ხალხთა შორის.

2. ტფილისის სასულიერო სემინარიაში შემოღებული იყოს კათედრა მაჰმადიანობის შესწავლისა მე-V და VI კლასებში, სადაც უნდა ასწავლიდნენ მისიების ისტორიას, მაჰმადიან ხალხების ეთნოგრაფიას ისლამის დარღვევას და სხვ.—ასეთი კათედრა შეიმდგა დაარსდეს კავკას. ქრისტ. აღმად. საზოგადოების წესდების 38 წ-ს ძალით.

3. იმ პირთ, ვისაც სემინარია არა აქვთ დამთავრებული და სამისიონერო მრევლში სამღვდლო-საეკლესიო მსახურების ადგილს ვეზამენით ეძიებენ, მოეთხოვოს ვეზამენი მაჰმადიანობის დარღვევის ცოდნაში იმ შემოკლებულის წიგნით მაინც, რომელიც შეადგინა ეპისკოპოსმა ვიკტორინემ და იმ წიგნებით, რომლებსაც ყაზანის ძმობის საბჭო ხშირად მბეჭდავს გასაერთოებლად (წიგნი ღირს 10 კაპ.).

4. სხვა-და-სხვა პროვინციებში დაარსდეს განყოფილებანი ტფილისის სასულიერო სამისიონერო ზნეობრივის ძმობისა, განსამლოგრებლად ამ ძმობის მოქმედებისა სხვა ადგილებშიც და შეერთებულ იქნას სხვა-და-სხვა ძმობათა მოქმედებანი ტფილისის ძმობის მოქმედებასთან.

5. წელიწადში ამ ორ წელიწადში ერთი მოწაფე ტფილისის სემინარიაში კურს-დამთავრებული გაიგზავნოს ყაზანის აკადემიის ორის წლის სამისიონერო კურსებზე, იმ პირობით, რომ ამ მოწაფემ, იქიდან დაბრუნების შემდეგ იმსახუროს ქრისტ. აღმად. საზოგადოების უწყებაში ხუთი წელიწადი.

6. საზოგადოების საბჭოს მისიონერებს და სექტანტების მოწინააღმდეგე მისიონერებს დაენიშნოთ თანაშემწენი მახრებსა და საბლაღოჩინო ოლქებში; ზოგიერთ საბლაღოჩინო ოლქებში, თუ შეიძლება, მისიონერისა და ბლაღოჩინის თანამდებობა იყოს შეერთებული ერთს მღვდელში, იმ პირობით, რომ სამრევლოებისაგან იყოს განთავისუფლებული.

7. ერთი ვიკარნი ეპისკოპოსი დაყენებული იყოს მისიის უფროსად; რათა თვალ-ყური ადევნოს და რიგი მისცეს მისიონერებს და ბლაღოჩინებს: იმართებოდეს დრო-გამოშვებით სამისიონერო კრებები. („სიხელი“) ამ ეპისკოპოსის თავმჯდომარეობით.

8. სინოდალურ კანტორის წევრები ორ წელიწადში ერთხელ მაინც იგზავნებოდნენ სარევიზიოდ ბლაღოჩინების მოქმედებათა; სარევიზიოდვე იგზავნებოდნენ საზოგადოების მისიონერებიც თავის უწყებებში, თანახმად უწმიდესის სინოდის ინსტრუქციის მისიონერთათვის (О миссияхъ и миссионерахъ. въ Сборн. Законовъ. Барсова).

9. ბლაღოჩინები, ყველანი და უსათუოდ, უნდა ასრულებდნენ თავიანთ ინსტრუქციის 46 მუხლს, რომლის ძალით ისინი ვალდებული არიან არა მარტო ათვლიერონ ეკლესიები, არამედ დაარიგონ მრევლი იცხოვრონ თანახმად სახარების მცნებისა და საეკლესიო კანონებისა.

10. შემოღებულ იქნას დრო-გამოშვებითი სახალხო საკითხავ-საუბრები სამრევლოებში მღვდლის მეცადინეობით და მისისავე უმთავრეს მონაწილეობით და სოფლის მასწავლებლის თანაშემწეობით და, უკეთუ იმ დროს სამრევლოში იქნება მისიონერი, — ამის ხელმძღვანელობით.

11. გამრავლებულ იქნას სამისიონერო, საბლაღოჩინო და სასრევლო ბიბლიოთეკები სასულიერო უწყების პირთა და ყველა მსურველთა სახმარებლად.

12. სამრევლო სკოლების მასწავლებლებმა, რომელთაც სემინარიაში კურსი არა აქვთ დამთავრებული (თუ სემინარიის მე-V კლასზე ნაკლები სწავლა აქვთ), ეკლესიაში მზად დაბეჭდილი ქადაგებანი წარმოისთქვან; ვისაც მეტი განათლება აქვს, თუ შეადგენს, თავისი ქადაგებაც წარმოისთქვას ჯეროვანის ცენზურის შემდეგ, — როდესაც ადგილობრივი მღვდელი სხვა-და-სხვა შესაწყნარებელ მიზეზის გამო ვერ იტყვის ქადაგებას თვითონ.

13. სოფლის მასწავლებელი, როგორც მღვდლისა და მისიონერის თანაშემწე სკოლის გარეთ; სარწმუნოება ერის ზნეობრივს განათლებათაში; გვემა მისი მოქმედებისა სკოლის გარეთ.

14. საღმრთო საჯულოთ, დარიგება მღვდლის მიერ იმ ბავშვთა, რომელთა მშობლები სკოლაში არ აბარებენ სასწავლებლად, სახლ-და-სახლ სიარუ-

ლის დროს მღვდლისა. კარგი იქნება ამისთანა მშობლებმა თავისი ბავშვები წელიწადში ექვსჯერ (ორ თვეში ერთჯერ) მაინც მღვდელს მიუყვანონ დასარიგებლად საღმრთო მცენებელში.

15. მღვდლის მოქმედების შესახებ პატარა (მიწერილს) სოფლებში და ბინებში; აშენება ამ გვარ ადგილებში სამლოცველოებისა, ასრულება იქ მღვთის-მსახურებისა და სხე.

16. დაწესდეს ზოგიერთ მონასტრებში თავშესაფარები (приюты) მათთვის, ვინც მონათვლას აპირებს, ან ახლად მონათულთა, ან შეერთებული და საქიროებს, თავის ერთმორწმუნეთაგან განშორებას და სჯულში განმტკიცებას. საშუალებანი ახლად-შეერთებულთა მომავლის ცხოვრების კეთილგანწყობისათვის.

17. ზოგიერთ ადგილებში ეკლესიების გამშვენების შესახებ (მაგალითად, აფხაზეთში, ქიზიყში და სხვ.) და სახლებში სახმარებლად მრეველში ხატების გავრცელების შესახებ.

18. ტფილისის საეპარქიო სანთლის ქარხანასთან დაწესდეს მთავარი საწყობი საეკლესიო ნივთებისა და წიგნებისა რუსულსა და ქართულ ენაზე; პროვინციებში კი ამ საწყობის განყოფილების დაასება სანთლის დუქნებთან, რომ მსურველთა შეღავათი ჰქონდეთ შეიძინონ საქირო საეკლესიო ნივთები და წიგნები.

19. ტფილისისავე სანთლის ქარხანასთან გვიმართოს სასტუმრო სასულიერო პირთათვის, რომელნიც ტფილისში ჩამოდიან, რადგან მათ ხარისხს არ შეეფერება ქალაქის სასტუმროებში; და ზოგჯერ, ხელ-მოკლეობისა გამო, ავლაბრის ბაქებში ცხოვრება.

20. ტფილისის სასულიერო სემინარიაში მე-VI კლასში შემოღებულ იქნეს პრაქტიკული სწავლება მედიცინისა იმდენად, რომ კურს-შესრულებული მღვდლობაში ან მასწავლებლობაში შეეძლოთ მოწყობა საშინაო პატარა აფთიაქისა, წამლობა ზოგიერთ არა რთულის ავადმყოფობისა მაინც და შეეძლოთ მოხმარება სახალხო კარაბანდინებისა (лечебники), როგორც არიან, მაგალითად, ანდრიევსკისა და ფლორინსკისა; თეორიული შესწავლა კი იწყებოდეს მე-IV კლასიდან და არა მფუთიდან, როგორც ეხლა.

21. ტფილისისავე სემინარიის I კლასში სამოს-

წავლა წლის პირველ მეოთხედის განმავლობაში სიტყვიერების გაკვეთილებზედ განმეორებულ იქნას რუსული გრამატიკა, უმთავრესად მართლ-წერა, რადგან სემინარიებებში ცოტა არ არის კურს შესრულებულნიც-კი, რომელნიც რუსულად შეცდომებითა სწერენ, რაცა სჩანს მათის თხოვნებიდან მასწავლებლობის ადგილის მიღების შესახებ და მათ მიერ სემინარიაში დაწერილ თხოვნებებიდან.

22. სასულიერო სასწავლებლებში ქართულის ენის გაკვეთილებზე შემოღებულ იქნას ვარჯიშობა I კლასიდან მე-IV-დის ხუცურს წერაში, რომ ამით გაუადვილდეთ ხუცურის წიგნების კითხვა, რომელიც მოწაფეებს უნებელდებოდა სემინარიაში კურსის შესრულების შემდეგაც. სასწავლებლებში ასწავლონ გეოგრაფია კავკასიისა სამოქალაქო სკოლის პროგრამით და არა მხოლოდ შემოკლებით.

(გატარდება იქნება).

შურნალ-გაზეთებიდან.

საფრანგეთის გავლენა ოსმალეთში. საფრანგეთის დიდებული მამულიშვილი გამბეტა ღრმა და შორს გამჭვრეტი პოლიტიკოსი იყო. მის კარგად ესმოდა, რომ, თუმცა შინ, საფრანგეთში, კლერიკალისმი ნამდვილი მტერია ხალხის ინტერესებისა და აუცილებელი საქიროებია მისთან ბრძოლა და მისი დამარცხება, კატოლიციზმთან ბრძოლა „საექსპორტო (საზღვარ-გარედ გასაზიდი) საქონელი“ არ არის. მართლაც, საფრანგეთის გავლენა კონსტანტინეპოლში და მთელ მცირე აზიაში პირდაპირ დაკავშირებულია კატოლიციზმის ამ მხარეზე გავლენასთან. მკითხველმა, რომ უფრო ცხადდ წარმოიდგინოს ეს მჭიდრო კავშირი, ერთხელ კიდევ მივაქცევთ მის ყურადღებას საფრანგეთის გავლენას და კათოლიკე სამღვდლოების მოქმედებას ოსმალეთში.

კათოლიკების მონასტრები გაფანტულია მთელ ოსმალეთის ტერიტორიაზე. სირია და პალესტინა თითქმის სრულგვით მათ ხელშია; შავი ზღვის ნაპირებზედაც კი, რუსეთის საზღვრების ახლო, დიდძალი კათოლიკე ბერები და მონაზვნებია, მაგრამ ყველაზე უფრო ისინი კონსტანტინეპოლს ეტანებიან.



ოსმალეთში კათოლიკე, მისიონერები ბევრად უფრო ფართობილად იქცევიან, ვიდრე წინათში; რსმალეთში ვერ ბედავენ ძალაუფლებად მიაღებინონ თავიანთი ღოვებები გუფანატიკოსებულ მაჰმადიანს. აქ კათოლიკეები მხოლოდ ყველა სარწმუნოებისა და ერების ახალთაობის აღზრდასა და სწავლებას კისრულობენ და იმდენს ახერხებენ, რომ მათ სკოლებში აღზრდილი მოსწავლე სიმპატიას გრძნობს კათოლიციანობისადმი. ხშირად შეჰხვდებით კონსტანტინეპოლის ქუჩებზე და მიდამოებშიაც ვაჟების სკოლას, სადაც შავ და განიერ ქულებიანი და თეთრ წინსაფარიანი ბერები ასწავლიან; ეს სკოლები ფარვდ წოდებულ „ქრისტიანე ძმებს“ ეკუთვნის; ამ სკოლებში ზრდის თავის შვილებს მთელი კონსტანტინეპოლელი არისტოკრატია. როცა სკოლა ბოსფორზე სეირნობს, გემზე უთუოდ საფრანგეთის დროშა აფრიალებული; ქალაქის მიდამოებში სეირნობის დროს მოსწავლეთ საფრანგეთის პატარა ბაიარლები უჭირავთ ხელში. კათოლიკურ პანსიონებში მოსწავლეთა რიცხვი დღითიდღე მატულობს. წინათ რომ ბერძნული ვიწმინათა ეტანებოდნენ, ესლა იქ შედარებით ძალიან ცოტა სწავლობს; მოკლე ხანში ამ ვიწმინათის მოსწავლეთა რიცხვი შეიდასიდან სამასამდე ჩამოვიდა.

კათოლიკურ სკოლების წყალობით ფრანგული ენა გავრცელებულია მთელ ოსმალეთის ტერიტორიაზე—ამ სკოლებში სწავლება ფრანგულ ენაზე სწარმოებს. ფრანგულ ენის ასეთ გავრცელებასთან გავრცელებულია სიყვარული ყოველის ფრანგული სადმი. საფრანგეთის ნაციონალურ დღესასწაულს 14 ივლისს დღესასწაულობს მეტი წილი კონსტანტინეპოლელ ინტელიგენციისა და ამ დღეს ქალაქს განსაკუთრებული სადღესასწაულო ელფერი ადევს.

მისიონერები დიდის გულმოდგინებით ეცნობიან აღმოსავლეთს; ჯერ კიდევ სკოლაში სწავლის დროს მიდიან შორს საქსკურსიოდ და წინდაწინვე ეცნობიან იმ ადგილს, სადაც მათ შემდეგ უნდა იმუშავონ.

ბერებზე ნაკლებ არც კათოლიკე მონაზვნები შრომობენ. მაჰმადიან ქალაქში იშვიათი მოვლენა არ არის შეხვედრა ქალების პანსიონისა, სადაც 200—300 ყველა ასაკის ქალი სწავლობს. მოსწავლენი თამამად და გაბედევით დაიარებიან მაჰმადიანთა შორის თავიანთ აღზრდულ მონაზვნების მფარველობის ქვეშ.

მონაზვნების მოღვაწეობა მარტო სწავლა-აღზრდის საქმით არ განისაზღვრება: ლარბების დახმარებაში და ავადმყოფების მოვლაში მათ მეტოქე არ ჰყავთ. კონსტანტინეპოლში მომვლელები სულ კათოლიკე მონაზვნები არიან.

ყველა კათოლიკურ დაწესებულებას ოსმალეთში საფრანგეთის „სამფერიანი დროშა“ მფარველობს და უნდა მფარველობდეს კიდევ: მიუხედავად რუსეთის და ავსტრია-ჰუნგრეთის მეზობლობისა, მიუხედავად გერმანიის ეხლანდელ გავლენისა პორტაზე, ხალხის გულის სიმპატია საფრანგეთს ეკუთვნის, კათოლიციანობის ბრძოლა, რომელიც საფრანგეთში აუცილებელი მოვლენაა, მართლა არ არის „საექსპორტო საქონელი“.

* *

გერმანელებს ახრია სამსრეთ-აფრიკის ომზე. გერმანიის სამხედრო ჟურნალები ბევრსა სწერენ ინგლისელების და ბურების ომის შესახებ.

მაიორი კარლ ფონ-ბრუკვაუზენი ამბობს, რომ ინგლისის თითონ უნდოდა ომი, და იმპერიალისტურმა პოლიტიკამ ჩაითრია იმაში.

მაიორს მოჰყავს ყველა ის ურიცხვი შეტეომები, რომელიც ბრიტანის გენერლებმა და ოფიცრებმა ჩაიდინეს, და იმ დასკვნას ადგება, რომ ინგლისი თავის სახლვო უპირატესობით იმის მადლიერი უნდა იყოს, რომ დიდი სახელმწიფოანი საქმეში არ ჩაერივნენ და ნეიტრალიტეტი დაიკავეს.

ფონ-ბრუკვაუზენს ჰგონია, საყოველთაო სამხედრო ბეგარის შემოღება ინგლისში ამ ომის შედეგი იქნება.

გარდა ამისა, ის წინასწარმეტყველობს, რომ ბურებს ომი კიდევ ექნებათ, თუ ახლო მომავალში არა, როდესაც ბურების ახალი თაობა წამოიზრდება.

ამ დვარსავე წერილში გენერალ-ლეიტენანტი ბლანკი უწოდებს ამბოჟებს. ხუთ წინასწარი დასკვნაა, რომელიც ბურის წიგნი—სალზროთო სჯულის ლობისთვის, მაგისტრალმდებანლო (მეორე გამოცემა) სხვა ხალხოსნ-გორც შევიტყვეთ, სამტრედის ერთ-პატრიარქის მალაზიაში იყიდება თურმე ეს სახელთისწავლოდ წიგნები...





ახალი ამბები და შეიშენები.

ზანდა, სწავლით დაეყვანა, შეავლით მაკრამ, ხელაშე წინა, წყარული წინა.

* * 29 მაისს, გაბრიელის საეპარქიო საქალბო სასწავლებელში სალიტერატურო სამუსიკო საღმრთო იყო გამართული რუსის მწერლების გოგოლისა და ჟუკოვსკის პატივსაცემად. რა თქმა უნდა, საღამო მეტად კარგი და შრიანი იყო.

ყველაფერი მოსაწონი იყო, მაგრამ არ შეგვიძლია არ ვუსაყვედუროთ სასწავლებლის უფროსს, რომ ამ საღამოზე მიწვეული ყავდა მარტო ახლობელი ნათესავ-ნაცნობები და არა მოსწავლეების ნათესავები და მშობლები. მეტად საჭიროა, რომ მშობლებმა და ნათესავებმა თავიანთი შვილების წინსვლა და განვითარება თვითონ დაინახონ.

* * ქუთაისის სს. სემ. სამმართველო აცხადებს, რომ განმეორებითი, დამატებითი და აგრეთვე მისაღები გამოცდა გარდა პირველი კლასისა დაიწყება 19 აგვისტოდამ, ხოლო პირველ კლასში მისაღები გამოცდა ოც-დათორ აგვისტოდამ ამა 1902 წ.

* * ქუთაისის საოცტატო სემინარიის კურსი დაამთავრა წელს ცხრა კაცმა. აი მათი სახელი და გვარები: ვუკოლე ბერიძე, ივანე წერეთელი, ნიკოლოზ ჩიმაკაძე, ვლადიმირ ნაღარევიშვილი, კალისტრატე წუწუნავა, ლაზარე შურღია, მიხეილ თათარიშვილი, გრიგოლ მიქაძე და ალექსი სომავი.

აქვე (ხონში) არსებულ საქალბო სასწავლებლის კურსს ათავებს წელს 30-დე კაცი ყველა ქართველებია. აგრეთვე მარინეს სასწავლებლის კურსს დაამთავრებს ცხრა ქართველი ქალი.

* * იენისის 2, კვირა ღამეს, ვილაც ბოროტ მომქმედებმა გასტეხეს დ. ყვირილაში ახლად აგებული ქვის ეკლესია, საიდანაც წიღეს ექვსიოდმანეთი ფული და სხვა არაფერი. ბოროტგამზარბველთ მავარი ეწველებით ყველა კარები ეკლესიისა, მაგრამ ვერ გაეღოთ, შემდეგ სამრეკლოდან ჩამოსავალი კარი გაეტეხათ, ძველი ტომრები ერთიერთმანეთზე გადაებათ და ამით ჩამოეშვათ კაცი, რომელსაც გაეღო კარები და სხვებიც შესულიყვნენ ეკლესიაში.

* * პროგრამმა ინგლისის საკორონაციო დღესასწაულისა:

10 (23) თბათვეს. ლონდონში მოსვლა უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებისა. საღილი ბუკინ-გამის სასახლეში. საღილის შემდეგ სსხვა-დასხვა ბილის წვეთა მიღება.

* * „კანონდებთა კრებულში“ გამოქვეყნებულთა სახელმწიფოთა საბჭოს უმაღლესად დამტკიცებული აზრი დაღესტნის ოლქში სასამართლო სახაზინო ვაქრობის დაღესტნის შესახებ; ეს კანონდება უნდა გავრცელდეს აგრეთვე ტბოლისა და ტბოსკის გუბერნიებზე, ყუბანისა, ტერსკისა, დაღესტნისა და სემიპალატინის ოლქებზე.

* * თბათვის შეიღს, ღამე, ავკალაში გასტეხეს წმ. მიხეილ მთავარანგელოზის ეკლესია და გამოიტანეს მრავალი ძვირფასი საეკლესიო სამკაული.

* * როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, მარტყოფის ეკლესიის გამკარცველ ავაზკათათვის უკვე მიუგნია და შეუპყრია მასრის უფროსს თავ. ჯანდერს.

* * უწმიდესმა სინოდმა დაღესტნა, რომ ეკლესიებში, მონასტრებში და სამლოცველოებში 1903 წლ. 1 იანვრიდან ესტებ დაბეჭდილი ხატები არ დააწყონ.

* * დიდის მთავრის ვლადიმერის ასული ელენე დანიშნა მის უმაღლესობა საბერძნეთის მეფის შვილ ნიკოლოზზე.

* * ქუთაისის რეალურ სასწავლებლის მეექვსე კლასში წელს 12 ყმაწვილი კაცი იყო. მათ შორის ეგზემენზე 10 დაუშვეს. როგორც გვითხრეს, ქართველების რიცხვი მცირეა.

* * საქალბო წმ. ნინოს სასწავლებელში მერვე კლასს ათავებს 35 ქალი. მომეტებული ნაწილი ქართველებია. უკანასკნელი გამოცდა 8 ივანობისთვის აქვთ დანიშნული.

* * გაბრიელის საეპარქიო საქალბო სასწავლებელში კემლოთ მკაცრად საშინაო პატარა აფთიაქის რაოდენობა ერთ არა რთულის ავადმყოფობის შემთხვევაში ქუთაელოთ მოხმარება სახალხო კარბადის 14 მოსწავლე HHHH, როგორც არიან, მავალითად, ანდრეი ქარდა ფლორინსკისა; თეორიული შესწავლა კი იუსუპ ბოდეს მე-IV კლასიდან და არა მესუთიდან, როგორც ესალა.

21. ტფილისისავე სემინარიის I კლასში სამოს-

11 (24) თიბათვეს. მეფე-დედოფალი მიიღებენ კურთხევაზე დამსწრე ევლჩებსა და დელეგატებს. სადილი იქვე სასახლეში.

12. (25). მეფე მიიღებს მინისტრ-პრემიერებს და დელეგატებს ბრიტანიის ყველა ახალ-შენებლგან, უფლის პრინცი გამპართავს ს. ჯერმენის სასახლეში სადილს ყველა პრინციებისა და ელჩებისათვის.

13 (26) კურთხევის ცერემონია. მეფე ედუარდ მე-VII-დე ბუენგამის სასახლიდან გამობრძანდება 10¹/₂ საათზე; სამეფო სახლელულობისათვის სასახლეში გაიმართება სადილი.

14 (27). მეფე ბრწყინვალე ამაღლის თანხლებით ბუენგამის სასახლიდან 10¹/₂ ს. ლონდონის მთავარ ქუჩებს ჩამოვიდის. საღამოთი მეფე დედოფალი მარკიზ ლანსლოუზის—გარეშე საქმეთა მინისტრის—ოტელში დაესწრებიან სტუმრების მიღებას.

15 (28). მეზღვაურთა დათვლიერება. მეფე-დედოფალი ღამეს სამეფო იახტაზე გაატარებენ. უცხოელი პრინციები და ელჩები ლონდონშივე დაბრუნდებიან.

16 (29). ნადიმი, რომელსაც უცხო პრინციებს უმართავენ ელჩები და დესპანნი.

17 (30). მეფე-დედოფალი ლონდონს დაბრუნდებიან და საღამოს ოპერაში დაესწრებიან წარმოდგენას.

18 (1). პარდენ-პარტი გაიმართება ვინდზორის სასახლეში ნაშუადღევს 3¹/₂ ს.

19 (2). გამგზავრება უცხოელ პრინცთა და დესპანთა. მეფე-დედოფალი დაესწრებიან მარკიზ ლონდონდერის ოტელში—ლონდონდერი ჰოუსში—გამართულ სადილს.

20 (3). მეფე-დედოფალი დაესწრებიან წირვას წმ. პავლეს ტაძარში. ისაუზნებენ ჰილპოლდში—ლონდონის სიტში.

21 (4). მიიღებენ ინდოეთის პრინციებს ინდოეთის სამინისტროში. ამ ცერემონიას მეფე-დედოფალიც დაესწრებიან.

22 (5). გაიმართება სადილი მეფე ედუარდ მე-VII-დის სახელობით ლონდონის ლარიბ-ლატაკათვის.

* * ტფილისის ვაჟთა მესამე გიმნაზიაში უკვე დასრულდა ეგზამენები. სწავლა დაამთავრა 27 კაცმა. ამთგან სამი ქართველია, სამი რუსი და დანარჩენი სომხები არიან. მოგვყავს ქართველების გვარები:

ალ. გოგიაშვილი, გრიგოლ თარხან-მოურავი და სოლომონ ერისთავი. ამავე გიმნაზიაში გასათავებელი ეგზამენები დაქირავს აგრეთვე ტფილისის სათავადაზნაურო სკოლაში სწავლა დასრულებული: შალვა ალექსი-მესხიშვილმა, ლეონიდ გაბაშვილმა და გაბრიელ ჯავახიშვილმა.

* * ტფილისის დედათა მესამე გიმნაზია დასრულა სულ 26 ქალმა: 5 რუსია, ერთი გერმანელი, 20 სომეხი და არც ერთი ქართველი.

* * რადგანაც ამ ბოლოს დროს გახშირდა ტფილისის მაზრაში ეკკლესიების გატეხა და გაძარცვა, როგორცა სჩანს, განგებ შემდგარის ბრბოსანგან, ამის გამო ტფილისის პოლიცემისტერმა განკარგულება მოახდინა, დაავალონ ტფილისის ეკკლესიების წინამძღვრებს, დააწესონ ღამით მორიგეობა დარაჯებისა და ეკკლესიების ყურის ვდება; ამასთანავე დაავალა ბოქაულებს, თავის მხრით განკარგულება მოახდინონ, რომ პოლიციის მოხელეთ და მეზოვეებმა ყურადღება იქონიონ ეკკლესიებზე, მეტადრე ქალაქის განაპირას.

* * ბლაღოჩინმა დეკ. დ. ლამაშიძემ მისცა წინადადება შორაპნის საბლაღოჩინო მაზრის მედავითნეთ, შვისწავლონ საჭირო გალობა—მწუხრისა და ცისკრის დროს საგალობელნი ბ. ჯინჭელაშვილისაგან, რომელიც ყვირილაში დარჩება ამ ზაფხულობით და რომელიც კისრულობს გალობის სწავლებას ნოტებზე. მოვალეა ყველა კრებულნი შვისწავლონ საღღესასწაულო საგალობლები „გადიდებესი“, ჰანაშვილის და წესის აგების საგალობელნი, რომელთაც დღეს ძლიერ ტულად გალობენ ბგერგან.

* * სასიხარულოდ ამ ბოლო დროს წიგნების მალაზიები სხვა-და-სხვა დაბეშში და სოფლებშიაც თანდათან ვრცელდებიან. მაგრამ ამ სიხარულთან არ შეგვიძლია მწუხარებაც არ გამოვსთქვათ, რადგან ზოგიერთ ამ წიგნის მალაზიებში ნაპარევი წიგნების ყიდვა დაიწყეს. ჩვენ მოგვპარეს ამის წინად ჩვენგან გამოცემული წიგნი—საღმრთო სჯულის სასწავლებელი სახელმძღვანელო (მეორე გამოცემა) და ესლა, როგორც შევითყვეთ, სამტრედიის ერთერთ წიგნის მალაზიაში იყიდება თურმე ეს სახელმძღვანელოდ წიგნები...



მიიღება ხელის-მოწერა 1902 წლისათვის ოც-
ჰვირეულ გამოცემათა ქართულს

„მწევენი“-ზე

დ
რუსულ «П А С Т Ы Р Ь»-ზე

ქურნალის ფასი:

12 თვით «მწევენი» 3 მ. | 6 თვით «მწევენი» 2 მ.
— ,, რუსული ,, 3 მ. | — ,, რუსული ,, 2 მ.
— ,, ორივე გამოცემა ნ — ,, ორივე გამოცემა 3 მ.

ბაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება დაბა
ვერიალაში რედაქციაში, ქუთაისში ბნ ესტატე
ლამბაშიძისთან, თბილისში წყრა-კითხის გამაერცე-
ლებელ საზოგადოების წიგნის მ-ლაზაში, ბ. შიო
ქუთუყაშვილთან. ფოთში — დეკანოზ მ. გრიგოლ
მაქაროვთან; ახალსენაკში — ბლაღოზინ მამა არისტარქ
კალანდარიშვილთან.

სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გახეთქილ დაეთმო-
ბათ მთელის წლით ორივე გამოცემა სამ მ ა ს ე თ ა დ.

რედაქცია იმყოფება დ. ვერიალაში რედაქ-
ტორის საკუთარ სახლებში.

ბაზე შე მცხარებთ ქურნალის დაბარება შეუძლიათ
ამ აღრისით: Вь Квирилы, вь редакцію газеты и
журнала „МЦКЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

რედაქციაში მოიპოება წარსული წლების რამ-
დენიმე სრული გამოცემანი „მწევენი“-სა, რომელთა-
ნიც ნახევარ ფასად დაეთმოებათ მსურველთ.

რედაქციაში მოიპოება აგრეთვე სხვა-და-სხვა
სასულიერო შინაარსის გამოცემანი, რომელთა კა-
თალოგი დრო-გამოშვებით ქურნალშიდაც იბეჭდება
და მსურველთაც შეიძლება დაიბარონ რედაქციიდან.

ბიორგოში

უკიმი ვახტანგ ლამბაშიძე

იღებს ავადმყოფებს

დიდის 8¹/₂—11-მდე და სისამოს 4—6 სათამდე
ყოველ დღეს კვარა დღეს გარდა

ბინა: რემმერტის პარკის პირდაპირ, გოფმეისტრის
ქუჩაზე, გინცენბერგის სახლი.

დ. შვირილაში

მასწავლებელი სერგი ჯინჭვალაშვილი ოც
იენისიდან ასწავლის ქართულს კალბასს:
წირვისა, ლოცვისა და მიცვალებულის წესებს
ბ.ბ. ფ. ქორბიძისა და მ. კარბელაშვილის ნო-
ტების სმუალებით, აგრეთვე ამხედებს მოს-
წავლეებს, რომელთაც განმეორებთია გამოცდა
აქეთ დანიშნული რუსულ-ქართულ კალბაში.

ბინა: ყანჩაველის სახლები, ზედა-ხიდის პირ-
დაპირ.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

ოფიციალური განმარტება: უმაღლესი ბრძანე-
ბანი მართლ-მადიდებელის სარწმუნოების უწყების საეკლესიო
სკოლათა დებულების დამტკიცების შესახებ.

სალიტერატურო განმარტება: ქართული საეკ-
ლესიო კალბის მოკლე ისტორიული მიმოხილვა. დეკ. დ.
ლამბაშიძე. — მეგობრული რჩევა ჩვენს ყმაწვილებს. გ. მალა-
ქიაშვილი. — სამწუხარო მოვლენა. დეკ. დ. ლამბაშიძე. — სია
საკითხავებისა, რომელიც მისიონერ-ინსპექტორის მღვდლის
ტარასი ივანიკის აზრით განხილული უნდა იყოს ქართლ-
კახეთის სამღვდლოების მომავალ კრებაზედ. — ქურნალ-გაზე-
თებიდან. — ახალი ამბები და შერჩევები.
— განცხადებანი.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ლამბაშიძე. Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.
Дозволено цензурою, Тифлисъ, 17 июня 1902 г. ✦ Цензоръ прот. Е. Елиевъ
Типог. редакції журн. „Пастыръ“ (П. Д. Гамбашидзе) вь Квирилахъ вь собст. домѣ.